

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის 2017 წლის 12 იანვარი სხდომის
ოქმი №1

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჟანგბადის კონცენტრატორის აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით, 6 თვის ვადით, სოფ. საგურამოში მცხოვრები მოქალაქე ვალიკო ლაბაურისათვის გადასაცემად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მოისმინეს საკითხი 1: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჟანგბადის კონცენტრატორის აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით, 6 თვის ვადით, სოფ. საგურამოში მცხოვრები მოქალაქე ვალიკო ლაბაურისათვის გადასაცემად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია #07/2/448 11.01.2017წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ჟანგბადის კონცენტრატორის (ხელოვნური სუნთქვის აპარატის - Oxygen Concentrator SL050) თხოვების ფორმით, სოფ. საგურამოში მცხოვრები მოქალაქე ვალიკო ლაბაურისათვის (პ/ნ 31001033896) დროებით სარგებლობაში გადაცემას, რომელიც ესაჭიროება მის მეუღლეს ვენერა ლაბაურს (პ/ნ 31001034001), მუდმივი ოქსიგენოთერაპიისათვის.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის I პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოფ. საგურამოში მცხოვრები მოქ. ვალიკო ლაბაურის (პ/ნ 31001033896) მოთხოვნა მისი მეუღლის - ვენერა ლაბაურისათვის (პ/ნ 31001034001) ხელოვნური სუნთქვის აპარატის, აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, 6 თვის ვადით გადაცემის საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თ. მოძღვრიშვილი

კომისიის წევრები

დ. ვალიშვილი

დ. პაპიაშვილი

გ. ლაბაური

თ. ლელუაშვილი

დ. ჯალაბაძე